დამტკიცებულია:
ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის
გალობის უნივერსიტეტის“ რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის
№03 ბრძანებით (დანართი 27)

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულება

უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის საფუძველია ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ (შემდგომში „გალობის უნივერსიტეტი“) საგანამანთლებლო პროგრამის მდგრადობის, საგანმანათლებლო პროგრამით (შემდგომში „პროგრამით“) გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისა და პროგრამის, განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

მუხლი 2. პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა

1. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

   ა) მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკა;

   ბ) პროგრამაზე სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დაგეგმილი რაოდენობა;

   გ) პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსზე ჯგუფში დაშვებული სტუდენტების რაოდენობა;

   დ) პროგრამის ფარგლებში, სემესტრის განმავლობაში, სავალდებულო სასწავლო კურსებზე კვირაში ჩასატარებელი სალექციო და პრაქტიკული/შემოქმედებითი მეცადინეობის საათების რაოდენობა;

   ე) აკადემიური პერსონალისთვის დაშვებული ჩასატარებელი საათების მაქსიმალური რაოდენობა;

   ვ) პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი.

2. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი უნდა შეადგენდეს პროგრამის სრული მოცულობის არანაკლებ 50%-ს. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს იმ საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, რომელთა სწავლის შედეგები მოითხოვს სპეციფიკური პროფესიული/პრაქტიკული ცოდნისა და უნარების მქონე პერსონალის მოწვევას და/ან სწავლებას მცირერიცხოვან ჯგუფებში.
3. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის არანაკლებ 50% უნდა იყოს აფილირებული გალობის უნივერსიტეტთან.
4. მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა დგინდება მათ მიერ განსახორციელებელი სასწავლო კომპონენტის/კომპონენტების შესაბამისად.
5. პროგრამის ხელმძღვანელი ყოველი სემესტრის დაწყებამდე, არანაკლებ 14 კალენდარული დღისა, მას შემდეგ რაც სრულად იქნება დატვირთული აფილირებული და აკადემიური პერსონალი, ახდენს იდენტიფიკაციას იმ საგნების და შესაბამისი დატვირთვის, რომელიც უნდა ჰქონდეს მოწვეულ პერსონალს. თითოეული მათგანისათვის შეიქმნება სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს მათი საქმიანობის შინაარსსა და მოცულობას საათებში, რაც აისახება მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში.

მუხლი 3. აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულები

1. აკადემიური პერსონალის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს:

   ა) საშემსრულებლო პროფილის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე: 10 სტუდენტზე 1 აკადემიური პერსონალი;

   ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე: 20 სტუდენტზე 1 აკადემიური პერსონალი;

2. აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობის გადანაწილება პროგრამებზე

   ხორციელდება შესაბამისი პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით.

3. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილი უნდა იყოს არანაკლებ 3 აკადემიური პერსონალით. ერთი აკადემიური პერსონალი შესაძლებელია ემსახურებოდეს ერთზე მეტ საგანმანათლებლო პროგრამას.

მუხლი 4. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა

გალობის უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური პერსონალის სულ მცირე 70% უნდა იყოს აფილირებული.